მუშათა ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲘᲚᲘ

№ 20 (1529)
ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ
8
ᲛᲐᲠᲢᲘ
1956 წ.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 25-Ე ᲬᲚᲘᲡ

ᲤᲐᲡᲘ 10 ᲙᲐᲞ.

საქართველოს კომპარტიის ყაზბეგის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის ორგანო
ᲐᲮᲐᲚᲘ ᲮᲔᲕᲘ – Орган Казбегского райкома компартии грузии и райсовета депутатов трудящихся.

ახლა განსაკუთრებით ცხადია, თუ რა დიდი ბედნიერება იყო ჩვენი სამშობლოსა და კომუნიზმის მთელი საქმისათვის, რომ ლენინის შემდეგ სსრ კავშირის კომუნისტურ პარტიას სათავეში ჩაუდგა ამხანაგი სტალინი. თუ ლენინის შემდეგ საბჭოთა ხალხი ძლევამოსილად წყვეტდა თავის საშინაო და საგარეო სტრატეგიულ და ტაქტიკურ ამოცანებს და თავისი სახელმწიფო ესოდენ ძლიერი და, ამავე დროს, მთელი მსოფლიოს მშრომელი ადამიანებისათვის სულიერად ესოდენ მახლობელი გახდა, — ეს, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი პარტიის დიდი ბელადის—ამხანაგ სტალინის, სტალინური ხელმძღვანელობის უდიდესი ისტორიული დამსახურებაა.

აი რატომ არის, რომ ახე ძლიერია მშრომელთა რწმენა სტალინის გენიისადმი, ახე დიდია საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა სიყვარული ამხანაგ სტალინისადმი.

Ვ. ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘ.

ᲓᲘᲓᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ

სამი წლის წინათ, 1953 წლის 5 მარტს, საღამოს 9 საათსა და ორმოცდაათ წუთზე შეწყდა კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ქვეყნის, მთელი მსოფლიოს მშრომელი ადამიანების ბრძენი ბელადის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გულის ცემა. მშობლიური სტალინის გარდაცვალებამ უსაზღვროდ დაამწუხარა ყველა პატიოსანი ადამიანის გული.

დიდმა სტალინმა ლენინთან ერთად ჭეშმარიტად ტიტანური შრომა გასწია კომპარტიის ორგანიზაციულ-იდეოლოგიური საფუძვლების შემუშავებაში. 1917 წლის დიდი ოქტომბრის რევოლუციის მომზადებაში. იოსებ ბესარიონის-ძემ გამოიჩინა ფოლადისებური ნებისყოფა და ორგანიზატორული ნიჭარი, როცა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ საერთაშორისო იმპერიალიზმმა 14 ქვეყნის არმიები დასძრა, რათა „ჩანასახშივე მოესპო“ მუშურ-გლეხური ქვეყანა, როცა ჩვენს მიწაზე მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი. სწორედ ამ დროს ვ. ი. ლენინის უშუალო მითითებით ყველაზე პასუხსაგებ ფრონტებზე იგზავნებოდა ი. ბ. სტალინი. ვინ არ იცის, რომ სადაც კი სტალინი გამოჩნდებოდა, იქ მტერი სასტიკად მარცხდებოდა.

როცა გარდაიცვალა კომპარტიის დამაარსებელი და სოციალისტური სახელმწიფოს მეთაური გენიალური ლენინი, სტალინმა კიდევ უფრო მაღლა ასწია ლენინის დროშა და პარტია და ხალხი წაიყვანა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზით. სტალინმა დაიცვა და შემდგომ განავითარა მარქსიზმ-ლენინიზმი.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაცია, ახალი ქალაქებისა და მთელი ახლად დასახლებული რაიონების გაჩენა, ხუთწლიანი გეგმების შემუშავება და მათი განხორციელება, დიადი კონსტიტუციის შექმნა დაკავშირებულია სტალინის სახელთან. ნამდვილად დიდი ბედნიერება იყო ის, რომ სამამულო ომის მრისხანე დღეებში ჩვენ სათავეში გვედგა დიდი სტალინი.

ომის შემდგომ წლებში პარტიის მიერ სტალინის ხელმძღვანელობით შემუშავებული გეგმებით მიმდინარეობდა აღდგენითი და ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების სამუშაოები.

რევოლუციის გენიალურმა სტრატეგმა და თეორეტიკოსმა სტალინმა, მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა მშრომელთა განთავისუფლებისა და მათი კეთილდღეობისათვის ბრძოლის კეთილშობილურ საქმეს.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

1956 წლის 27 თებერვალს გაიმართა პლენუმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა, რომელიც აირჩია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ.

პლენუმმა აირჩია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით:

პრეზიდიუმის წევრები: ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. კირიჩენკო, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიკოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი;

პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატები: ამხანაგები გ. კ. ჟუკოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ა. მუხიტდინოვი, დ. ტ. შეპილოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი.

პლენუმმა აირჩია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნო შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი —საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ბ. ა[illegible]ისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, ლ. ი. ბრეჟნევი, პ. ნ. პოსპელოვი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, დ. ტ. შეპილოვი.

პლენუმმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩია ამხ. ნ. მ. შვერნიკი, პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ — ამხ. პ. ტ. კომაროვი.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲠᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲨᲘ

1956 წლის 27 თებერვალს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა. ცენტრალურმა სარევიზიო კომისიამ კომისიის თავმჯდომარედ აირჩია ამხ. პ. გ. მოსკატოვი.

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲦᲔ

დღეს მთელი მსოფლიოს მშრომელები აღნიშნავენ ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს—8 მარტს.

კაცობრიობის ისტორიაში პირველად დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაათავისუფლა ქალები და მიანიჭა მამაკაცის თანასწორი უფლება.

საბჭოთა ხელისუფლებამ ფართოდ გაუღო ქალებს მეცნიერებისა და კულტურის კარები, შეუქმნა ყველა პირობა ნიჭისა და უნარის განვითარებისათვის. ისინი არიან კომუნიზმის მშენებელთა მოწინავე რიგებში, შრომისა და ბრძოლის გმირები.

სამამულო ომში გმირული ბრძოლისათვის 120 ათასი ქალი დაჯილდოებული იქნა ორდენებითა და მედლებით, 8 ათასზე მეტმა მიიღო „სამამულო ომის პარტიზანის“ მედალი, ხოლო საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა 70 ქალს.

ქალები თავდადებულად შრომობენ კომუნიზმის მშენებლობის ყველა უბანზე. მარტო სოფლის მეურნეობაში მომუშავე 2.270-ზე მეტ ქალს მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება. მათ შორის 200-ზე მეტი ქართველი ქალია.

ქალები აქტიურად მონაწილეობენ აგრეთვე ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისინი არჩეული არიან სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და რაიონული საბჭოების დეპუტატებად.

ქალი გარემოსილია საბჭოთა სახელმწიფოს მუდმივი ზრუნვითა და ყურადღებით. მისთვის გარანტირებულია შრომის, დასვენების, განათლების უფლება. მეექვსე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესდეს მუშა ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები, დამატებითი შეღავათები მიეცემათ დედებს, კერძოდ, გადიდდება ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებათა ხანგრძლივობა.

პარტიისა და მთავრობის უსაზღვრო ზრუნვით გარემოსილი ქალები კვლავაც ენერგიულად იშრომებენ თავისი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ, მისი ძლიერებისა და დიდებისათვის, აღზრდიან კომუნიზმის მშენებელ გმირულ თაობას.

Ბ. ᲒᲘᲒᲐᲣᲠᲘ

ᲛᲬᲔᲛᲡᲘᲡ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘ ᲑᲔᲚᲐᲓᲖᲔ

მე შოთას ენა ვინ მომცა,
ლექსი ვთქვა შენი საფერი;
ხიბრძნის ულევი ზღვა იყავ,
მზე დიადი და ნათელი,
შენმა დრომ ავი ადათი,
ავი ზნე დაგვაგმობინა,
ხიყვარულს ვეზიარენით—
ერი ერს დაგვაძმობილა,
მოა ბარს ნისლები ამყარა—
ვარდ-ყვავილებით მოპფინა;
სარდალთ სარდალი იყავი—
დღემდე რომ არვინ ყოფილა.
უკვდავს რას გიზამს სიკვდილი,
პირზე ღიმილი მოგივა,
ვერ გაიხაროს დუშმანმა,
ვერც დავიწყების ლოდინმა!
—შავს ნუ ჩაიცვამ დედაო,
ცა პირქვე [illegible] დამხობილა;
სახელად ისიც ვეყოფა,
მზე შენს მიწაზე შობილა.
მეც ვნახე, ლენინთან სძინავს—
ორივ ბელადად ცნობილა!

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ოთახი და საოჯახო ნივთები სახლისა, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა ი. ბ. სტალინმა.

ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ

ჩვენი რაიონის მეცხოველეებს მხარში უდგანან და შრომაში არ ჩამორჩებიან ახალგაზრდები. ბევრი მათგანი თავდადებული მუშაობის მაგალითებს გვიჩვენებს. ამას წინათ თბილისში გაიმართა რესპუბლიკის ახალგაზრდა მეცხოველეთა თათბირი, სადაც მონაწილეობა ჩვენც მივიღეთ. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში გამგზავრების დღეს ამინდი მეტად ცუდი იყო, ამას არ შეეშინებიენ და ჯვრის უღელტეხილი მშვიდობიანად გადავლახეთ.

თათბირი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა. ბევრ მონაწილეს ფასიანი საჩუქრები გადასცეს, დაჯილდოეს საპატიო სიგელებით, ბევრის გვარიც შეტანილ იქნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო წიგნში.

ჩვენი ჯგუფიდან ფოტოალბომებით და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებით დაჯილდოეს ოლა წამალაიძე (სიონი), თინა სომხიშვილი, ეკატერინე ჩქარეული (გორისციხე), საპატიო სიგელები მიიღეს აგრეთვე ნინო გელაშვილმა, ეთერ ბულაშვილმა, ნადია ლუდუშაურმა (სნო), თენგიზ ქუშაშვილმა, ვახტანგ ვალიშვილმა და ვაჟა ქუშაშვილმა (ყაზბეგი), მედეა გუჯარაიძემ (სიონი), ი. ავსაჯანიშვილმა (გორისციხე), აშექალ არაბულმა (ჯუთა) და მ. გელაძემ (სიონი).

Ი. ᲫᲐᲕᲗᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
კომკავშირის რაიკომის მდივანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

ყრილობის დღიური

23 თებერვალს ყრილობის დილის სხდომაზე, რომელიც ამხ. **გ. ე. ბურკაცკაიას** თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, გრძელდებოდა განხილვა ამხ. ნ. ა. ბულგანინის მოხსენებისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის თაობაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების შესახებ.

სიტყვა ეძლევა ამხ. **ნ. ი. ბობროვნიკოვს** (მოსკოვის პარტორგანიზაცია). იგი შეეხო დედაქალაქის რეკონსტრუქციის საკითხებს.

მეექვსე ხუთწლედში, ამბობს იგი, მოსკოვის რეკონსტრუქციისათვის დასახულია დახარჯოს 25 მილიარდ მანეთზე მეტი. მნიშვნელოვნად გადიდდება საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობა.

შემდეგ გამოდის ამხ. **ა. ნ. კოსიგინი**. ორატორს მოჰყავს მონაცემები ახალ ხუთწლედში ძირითადი სამრეწველო საქონლისა და კვების პროდუქტების წარმოების ზრდის შესახებ.

ყველა ქსოვილის წარმოება გადიდდება 9.263 მილიონი მეტრით. ფეხსაცმლის გამოშვება 1960 წელს მიაღწევს 455 მილიონ წყვილს. ხუთწლედის დამლევისათვის შეკერილი ნაწარმი დამზადდება ერთნახევარჯერ მეტი. შაქრის გამომუშავება გადიდდება ერთი ორად. ეს მთლიანად უზრუნველყოფს მოსახლეობის მოთხოვნილებას შაქარზე და შესაძლებელს გახდის ფართოდ გავაჩაღოთ საკონდიტრო და სხვა საქონლის გამოშვება. მეექვსე ხუთწლედში მთლიანად ჩვენს ქვეყანაში ერთიორად გადიდდება ხორცისა და რძის წარმოება. დიდად განვითარდება თევზის მრეწველობა.

ამხ. **კ. პ. ორლოვსკი** (ბელორუსიის პარტორგანიზაცია) ლაპარაკობს სასოფლო-სამეურნეო არტელის „განთიადის“ კოლმეურნეთა მუშაობაზე, მომავლის გეგმებზე. კოლმეურნეობა აერთიანებს 1.200-ზე მეტ კომლს და აქვს 9 ათასი ჰექტარი მიწა. იგი იღებს დიდ შემოსავალს მეურნეობის ყველა დარგიდან. მებოსტნეობამ და მებაღეობამ მისცა მას 1,5 მილიონზე მეტი, ხოლო მესელეობამ—7,5 მილიონ მანეთზე მეტი. გასულ წელს კოლმეურნეობამ საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღო 2.920 კილოგრამი რძე. მეცხოველეობამ სასოფლო-სამეურნეო არტელს მისცა 5,2 მილიონი მანეთი.

შემდეგ სიტყვას ამბობს ამხ. **ნ. კ. ბაიბაკოვი**. ახასიათებს რა მეექვსე ხუთწლედის შესახებ ყრილობის დირექტივების პროექტის შემუშავების თავისებურებებს, იგი ამბობს, რომ ამ მუშაობაში ფართო მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა, რომლებმაც ბევრი ძვირფასი წინადადება შეიტანეს.

ხუთწლედის მასშტაბით შრომის ნაყოფიერების გადიდება მხოლოდ ერთი პროცენტით შესაძლებელს გახდის სამუშაო ძალაზე მოთხოვნილება შევამციროთ 165 ათასზე მეტი კაცით, სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების ერთი პროცენტით შემცირება 1960 წელს მოგვცემს 10 მილიარდ მანეთ ეკონომიას.

ამხ. **ტ. ს. მალცევი** (კურგანის პარტორგანიზაცია) კონკრეტული მაგალითებით ცხადყოფს, თუ რა უდიდესი უპირატესობა აქვს ნიადაგის დამუშავების ახალ სისტემას, რომელსაც კურგანის ოლქის კოლმეურნეობაში „ლენინის ანდერძში“ იყენებენ.

მიწათმოქმედების კულტურის შემდგომი ამაღლება, ამბობს დასასრულ ამხ. მალცევი, მოითხოვს სერიოზულად შევცვალოთ და გავაუმჯობესოთ ნიადაგის დამუშავების მთელი რიგი იარაღების კონსტრუქციები. აგრეთვე შევქმნათ ახალი მანქანები, რომლებიც შეესაბამებიან აგრონომიის მეცნიერებისა და სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის მოთხოვნებს.

ამხ. **ვ. ა. მალიშევი** თავის სიტყვაში შეეხო ტექნიკური პროგრესის პრობლემებს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში.

მრეწველობის ბევრ დარგში, ამბობს ორატორი, ახალი საწარმოები დაპროექტებულია ჯერ კიდევ არა საკმაოდ თანამედროვე, ხოლო ზოგჯერ მოძველებული ტექნიკის ბაზაზე. ამასთან იყენებენ ნაკლებად ეფექტიან ტექნოლოგიურ პროცესებს და მოძველებულ მოწყობილობებს, რის შედეგად იზრდება კაპიტალდაბანდებათა ხვედრითი წონა ამუშავებული სიმძლავრის ერთეულზე და მაშასადამე, საქარხნო-საწარმოთა ღირებულება.

ამხ. **ბ. პ. ბეშჩევი** ლაპარაკობს დირექტივების პროექტით დასახულ უდიდეს მუშაობაზე რკინიგზის ტრანსპორტის განსავითარებლად. ხუთწლედის დამლევისათვის ელექტრომავლები და თბომავლები შეასრულებენ მთელი ტვირთბრუნვის 45 პროცენტს ნაცვლად 14 პროცენტისა გასულ წელს. ელექტროწევაზე გადაყვანილი იქნება 8 ათას კილომეტრზე მეტი რკინიგზის ხაზი, მათ შორის ძირითადი მაგისტრალები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ცენტრს აკავშირებენ ურალთან, ციმბირთან და დონბასთან. თბოწევაზე გადაყვანილი იქნება 18 ათასამდე კილომეტრი რკინიგზის ხაზი.

დილის სხდომაზე ყრილობას მიესალმნენ უცხოეთის კომპარტიების მთელი რიგი წარმომადგენლები, რომლებსაც დელეგატები გულთბილად შეხვდნენ.

დანიის კომუნისტური პარტიის სახელით სიტყვა წარმოთქვა ამხ. **ა. ლარსენმა.** მან თქვა:

თქვენი ყრილობა ცოცხალი დადასტურებაა საბჭოთა კავშირში სოციალიზმის უდიდესი პროგრესისა, მისი უპირატესობისა კაპიტალიზმის სისტემასთან შედარებით. მან ერთხელ კიდევ დაადასტურა ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირი მძლავრი ძალაა მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის ბრძოლაში საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობისათვის და მთელი მსოფლიოს მტკიცე მშვიდობისათვის.

ინდოეთის კომპარტიის სახელით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას მხურვალე ძმური სალამი გადასცა ამხ. **აჯოი კუმარ გჰოშმა.**

აღმოსავლეთის ხალხებს, თქვა მან, რომლებმაც მოიცილეს კოლონიალიზმის უღელი და ესწრაფვიან აღადგინონ თავიანთი ეკონომიკა, საბჭოთა კავშირი მიაჩნიათ ერთგულ მოკავშირედ, საიმედო და უანგარო მეგობრად და ძმად, რომელიც დახმარებას გვთავაზობს რაიმე პოლიტიკურ ვალდებულებათა დაუკისრებლად.

ამხანაგების ბულგანინისა და ხრუშჩოვის მოგზაურობა ინდოეთში, აღნიშნავს ამხ. გჰოში, გადაიქცა ინდოეთ—საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნულ დღესასწაულად, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ყველა კლასმა, ყველა პარტიამ და ხალხის ყველა ფენამ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, თქვა დასასრულ მან, რომ მსოფლიოს სამი დიდი ქვეყნის—სსრ კავშირის, ჩინეთისა და ინდოეთის მეგობრობა განუხრელად გაიზრდება, როგორც მთელი მსოფლიოს მშვიდობის უაღრესად მძლავრი ფაქტორი.

ნორვეგიის კომპარტიის სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. **ე. ლევლიენი.**

მექსიკის კომპარტიის სახელით ყრილობას მხურვალე სალამი გადასცა ამხ. **დ. ენსინამ.**

დილის სხდომაზე გამოაქვეყნეს აგრეთვე თურქეთის, ალჟირისა და კოლუმბიის წერილობითი მისალმებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისადმი.

* * *

საღამოს სხდომაზე, რომელიც ამხ. **ზ. რ. რახიმბაბაევას** თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, კამათში პირველი გამოვიდა ამხ. **ვ. ა. კუჩერენკო.** იგი დაწვრილებით ეხება ჩვენს ქვეყანაში მშენებლობის საქმის შემდგომ გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ აღნიშნავს, რომ მშენებელთა შრომის ნაყოფიერება მეექვსე ხუთწლედის ბოლოსათვის უნდა გადიდდეს სულ ცოტა 52 პროცენტით.

სიტყვა ეძლევა ამხ. **ვ. ვ. მაცკევიჩს.** მან თქვა, რომ საჭიროა გადიდდეს მარცვლეულის მოსავლიანობა. ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს მარცვლეულის თესვისა და მოსავლის აღების ვადების შემცირებას, პურეულის მოსავლის ცალ-ცალკე აღების გამოყენებას, ჯიშიანი თესლების თესვას.

ორატორმა განაცხადა, რომ ახლა თვითეულ ოლქში იქმნება კომპლექსური საცდელი სასოფლო-სამეურნეო სადგურები ან ინსტიტუტები, რომლებსაც ეკისრებათ მეცნიერულ-პრაქტიკულად შეიმუშაონ უაღრესად აქტუალური საკითხები, რომლებიც ოლქის სოფლის მეურნეობის წინაშე დგას.

ამხ. **ა. გ. შერემეტიევმა** თავისი სიტყვა მიუძღვნა შავი მეტალურგიის განვითარების საკითხებს. ჩვენი მეტალურგია, თქვა მან, ვითარდება ისეთი ტემპით, როგორიც უცნობია მსოფლიო ისტორიისათვის. უკანასკნელი 26 წლის მ ნძილზე ფოლადის წარმოების საშუალო წლიურმა მატებამ ჩვენს ქვეყ ნაში შეადგინა 9 პროცენტი, მაშინ როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში—სულ 2,4 პროცენტი, ინგლისში—2.8 პროცენტი, საფრანგეთში—1 პროცენტი.

თავმჯდომარე აცხადებს:

—ჩვენი ყრილობის მისასალმებლად მოვიდნენ ნორჩი პიონერები. დელეგატები და სტუმრები ფეხზე დგებიან, მქუხარე ტაშით ეგებებიან პიონერებს, ცოცხალ ყვავილებსავით დაამშვენეს ბავშვებმა დარბაზის ყველა გასასვლელი, მთელი თავისუფალი სივრცე ტრიბუნებთან.

პროზად და ლექსად დაწერილ მისალმების ტექსტს კითხულობს რამდენიმე გოგონა და ბიჭი. იგი გამსჭვალულია უანგარო სიყვარულით ძმობლიური კომუნისტური პარტიისადმი.

დასასრულ გაისმის მოწოდება:

ნორჩო პიონერებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად იყავით მზად!

სალუტს აძლევს ასობით ბავშვი, წკრიალა ხმები ერთსულოვნად უპასუხებენ: — მზად ვართ!

გოგონებისა და ბიჭების ერთი ჯგუფი პრეზიდიუმისაკენ მიექანება. მათ ცოცხალ ყვავილთა თაიგულები მიართვეს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, აგრეთვე უცხოეთის კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელებს.

ყრილობის დელეგატები გულთბილად აციელებენ პიონერებს, რომლებიც ტოვებენ დარბაზს.

შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. **ი. ა. კაიროვს.** მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მეექვსე ხუთწლედის ერთ ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა კულტურის დარგში ის არის, რომ ყველგან განვახორციელოთ საყოველთაო საშუალო განათლება. ფასდაუდებელია, აცხადებს ორატორი, ამ ამოცანის მთელი მნიშვნელობა. მისი განხორციელება უდიდესი წვლილი იქნება საბჭოთა ქვეყანაში სოციალისტური კულტურის განვითარების საქმეში.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლებს.

უოუგვაის კომპარტიის სახელით ყრილობას მისალმება გადასცა ამხ. **რ. არიხმენდმ.** მან თქვა:

—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გამარჯვებანი, რომლებიც მოიპოვა მან კომუნიზმის მშენებლობისა და მშვიდობის შენარჩუნების საქმეში, აგრეთვე მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითს განვითარებ შ, უდიდესი სტიმულია ჩვენი ხალხის ბრძოლაში ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის.

ისრაელის კომპარტიის წარმომადგენელმა ამხ. **ს. მიკუნისმა** განაცხადა:

ჩვენ მთელი სულითა და გულით მივესალმებით დიდი საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის უდიდეს წარმატებებს, რომლებსაც მიაღწია მან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ნაცადი და ბრძნული ხელმძღვანელობით კომუნიზმის მშენებლობაში და მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნების საქმეში.

შვეიცარიის შრომის პარტიის წარმომადგენელმა ამხ. **ე. ვოოგმა** თქვა, რომ შვეიცარიის მშრომელებს საბჭოთა კავშირი მიაჩნიათ მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის მედროშედ.

საღამოს სხდომაზე გამოაქვეყნეს აგრეთვე პორტუგალიის, მალაიისა და ვენესუელას კომპარტიების წერილობითი მისალმებანი ყრილობისადმი.

24 თებერვალს ყრილობა განაგრძობს მუშაობას.

(საკდესი).

ულაზბეგი გაზეთ „ახალი ხევი“-ს სტამბა ტირაჟი 1100 რედაქტორი გ. ჩაბაკაური.